

## პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ბორჯომის ტყის აღდგენის პროცესში ჩაერთვება



„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ყველა შვილობილ კომპანიასთან ერთად, ბორჯომის ტყის აღდგენის პროცესში ჩაერთვება.

როგორც „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“ განაცხადეს, ისინი ორი თვის წინ შეუერთდნენ კამპანიას - "აღადგინე" და პირველ ჯერზე 2008 წელს ოკუპანტის მიერ გადამწვარ ტყის ტერიტორიაზე 500 ძირი ხე დარგეს.

„გადაწყვეტილი გეგმონდა, რომ შემოდგომაზე, როგორც კი დარგვის სეზონი განახლდებოდა, 500 ძირი ხე კიდევ შეგვემეტებინა, შემდეგ გაზაფხულზე კიდევ და ასე უწყვეტად, ვიდრე საჭირო იქნებოდა. მაშინაც ვფიქრობდით, რომ ამაზე კარგს ვერაფერს გავაკეთებდით და ეს ჩვენთვის, ჩვენი შვილებისთვის კეთდებოდა. ახლა ეს ემოცია გაათმაგდა. შეგრძნება, რომ ეს საშვილიშვილო საქმეა (და ეს სიტყვა დღეს ყველაზე შესაფერისი და შესაბამისია), გამძაფრდა. გადაწყდა და ეს იყო ერთობლივი, ყოველი ჩვენგანის ძალიან დიდი სურვილი, რომ



## პრესრელიზი

"საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" ყველა შვილობილ კომპანიასთან ერთად ("საქნახშირი" "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია", "ნეოგაზი", "ტიფლისი სითი", "ქამქი", "ევროპული სკოლა") ჩაგება

ტყის აღდგენის პროცესში. თითოეული ჩვენგანი ვუერთდებით გამოწვევას საქართველოსთვის, ჩვენი შვილებისთვის, ჩვენი მომავლისთვის. ბორჯომის ტყე იქნება ისეთივე ლამაზი, შრიალა და საამაყო, ვიდრე იყო და ამას ყველანი, მე, შენ, ის - ჩვენ ერთად გავაკეთებთ", - განაცხადეს „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“.

---

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

